პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№50 (4044) 12 1970 წ. მარტი. ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა ნორჩ ფეხბურთელთა ტრადიციული ტურნირი. აღსანიშნავია, რომ წლევანდელ გათამაშებაში გაცილებით უფრო მეტი გუნდი მონაწილეობდა და თამაშებიც უფრო დიდი დაძაბულობით გამოირჩეოდა.

გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „ლიახვი“ (მწვრთნელი თ. ხვადაგიანი) და „შევარდენი“ (მწვრთნელი თ. მელაშვილი). ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა „ლიახვმა“, რომელსაც გადაეცა სპორტის სასახლის პრიზი.

ამ მთავარი პრიზის გარდა დაწესებული იყო ჯილდოები საუკეთესო ნორჩი ფეხბურთელებისთვის. საუკეთესო მეკარედ მიჩნეულ იქნა გ. გიორგობიანი („ივერია“), საუკეთესო ბომბარდირად — ა. ჩივაძე („ივერია“). ფინალის ყველაზე ნორჩი მონაწილე იყო თ. ბერიძე („შევარდენი“), ყველაზე ტექნიკური მოთამაშე — გ. გურცა („მერცხალი“), ხოლო ფინალური ტურნირის საუკეთესო მოთამაშე — ვ. გულორდავა („ლიახვი“). მათ გადაეცათ სამახსოვრო ჯილდოები.

• • •

სურათებზე: სპორტის სასახლის პრიზის წლევანდელი მფლობელი „ლიახვი“. განაპირას დგანან გუნდის მწვრთნელები თ. ხვადაგიანი (მარცხნივ) და ა. ცაგარეიშვილი; ფინალური მატჩის მომენტი. გულორდავას (№ 9) გაჰყავს გადამწყვეტი ბურთი „შევარდენის“ კარში.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

ფეხბურთი

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „იმერეთი“ (თურჯოლა) 3:1. მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).

მატჩის დასაწყისმა წარმატება მოუტანა თურჯოლელებს, რომლებმაც შეძლეს ანგარიშის გახსნა, სტუდენტებმა კი მხოლოდ ტაიმის დასასრულს აღადგინეს წონასწორობა — 1:1. შემდგომში უკვე მასპინძლებს ეპყრათ ხელთ უპირატესობა და ნაჭყეპიამ ორჯერ აიღო „იმერეთის“ კარი.

● ასკ (თბილისი) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 0:0. მსაჯი ლ. ღონღაძე (თბილისი).

● „ქართლი“ (გორის რაიონი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 3:5. მსაჯი ვ. დუბრავინი (თბილისი).

მას შემდეგ, რაც კიკნაველიძემ (ორჯერ) და ფანცხავამ 3 ბურთი გაიტანეს „ქართლის“ კარში, მატჩის ბედი ნათელი შეიქნა. მართალია, მეორე ტაიმში თამაში გათანაბრდა, მაგრამ დამსახურებული გამარჯვება ზესტაფონელმა ფეხბურთელებმა მაინც შეინარჩუნეს.

● „ფეიქარი“ (წულუკიძე) — „ვარკეთილი“ (გარდაბანი) 3:2. მსაჯი ა. აფრიდონიძე (ქუთაისი).

● „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 0:0. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

● „სამცხე“ (ახუური) — „სპური“ (წალენჯიხა) 1:0. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

ტაიმი მიმდინარეობდა დაძაბულ ორმხრივ ბრძოლაში, ორივე გუნდის თავდასხმელებს საკმარისად ჰქონდათ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა. შესვენების შემდეგ აწყურელებმა უმატეს ტემპს და 65-ე წუთზე ბარძიმაძემ შეძლო გადამწყვეტი ბურთის გატანა.

● „ლოკომოტივი“ (სამტრედია) —„ეგრისი“ (ცხაკაია) 5:2. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

პირველივე წუთებიდან მინდორზე გაჩაღდა დაძაბული, საინტერესო ბრძოლა. სტუმრებმა შეძლეს ტერიტორიული უპირატესობის მოპოვება, რასაც მოჰყვა ძაგანიას გოლი. ამის შემდეგ რკინიგზელებმა მკვეთრი გარდატეხა შეიტანეს თამაშში და მთელი ძალები შეტევაზე გადაისროლეს. მათს ენერგიულ იერიშებს სათანადო შედეგიც მოჰყვა და „ეგრისის“ კარი ხუთჯერ იქნა აღებული (კოხრეიძე —2, ამირანაშვილი, მანჯგალაძე, ყურულაშვილი). ცხაკაიელებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ მეორე ბურთი გაიტანეს (დარსელია) და დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი.

● „მესხეთი“ (ახალციხე) — „სინათლე“ (თბილისი) 1:5. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).

● „მზიური“ (გალი) — „გიგანტი“ (ლაითურა) 1:1. მსაჯი ა. ჭყუასელი (თბილისი).

სტუმრები დასაწყისში უფრო აქტიურნი იყვნენ, ზურგჭარიც მათ უწყობდა ხელს. მე-13 წუთზე გოგიბერიძემ კარგად გამოიყენა გალელ მცველთა შეცდომა და გახსნა ანგარიში. შესვენების შემდეგ „მზიურმა“ მკვეთრად აიღო ხელთ ინიციატივა, მაგრამ საბანასუხო გოლის გატანა შეძლო მხოლოდ ბოლო წუთებზე და ისიც 11-მეტრიანი დარტყმით, რომელიც ზუსტად გამოიყენა დიაკონიძემ.

● „ისანი“ (თბილისი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 1:0. მსაჯი ა. ჯანავაშვილი (თბილისი).

თამაში მიმდინარეობდა თანაბარ ბრძოლაში, რომლის პირველ ნახევარს შედეგი არ მოუცია. მეორე ტაიმში თბილისელებმა გააძლიერეს იერიშები, 62-ე წუთზე გოცირიძემ გამოიყენა მეტოქის კართან შექმნილი კრიტიკული მომენტი და ზუსტად გაგზავნა ბურთი „მაღაროელის“ კარში.

• • •

ჩემპიონატის მორიგი, III ტურის მატჩები შედგება 15 მარტს. ერთმანეთს ხვდებიან: „ენგური“ (ზუგდიდი) — „იმერეთი“ (თურჯოლა), „გიგანტი“ (ლაითურა) — „ისანი“ (თბილისი), „სინათლე“ (თბილისი) — „მშენებელი“ (ბორჯომი), „ეგრისი“ (ცხაკაია) — „მესხეთი“ (ახალციხე), „სპური“ (წალენჯიხა) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია), „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „სამცხე“ (ახუური), „ვარკეთილი“ (გარდაბანი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური), „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ფეიქარი“ (წულუკიძე), „ციხკარი“ (სიღნაღი) — „ქართლი“ (გორის რაიონი), ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — ასკ (თბილისი).

საქართველოს ჯიუდოელები

გოლო აკორდი და...

თბილისის ქალთა XV ტრადიციული სპარტაკიადა დასასრულს უახლოვდება. გასარკვევი დარჩა გამარჯვებულის ვინაობა მხოლოდ კალათბურთში. ტანვარჯიშში სპარტაკიადის ჩემპიონობა პირველად მოიპოვეს განთიადელებმა. მეორე იყო განათლების განყოფილების გუნდი, მესამე—„ბურევესტნიკი“. სპორტის ოსტატ ქალთა პირად ჩათვლაში იმარჯვა რ. ბერიკაშვილმა, II ადგილზეა ლ. გათენდაშვილი (ორივე — „დინამო“), III — ვ. ბოგოლიუბოვა („განთიადი“). სპორტის ოსტატობის კანდიდატთა შორის ადგილები ასე განაწილდა: 1. ლ. თავაძე („ლოკომოტივი“), 2. თ. ხვლური (განათლების განყოფილება), 3. ლ. ფირალიშვილი („დინამო“).

მწვავედ მიმდინარეობდა ფრენბურთელთა შეჯიბრება. განსაკუთრებით დაძაბული იყო „ბურევესტნიკისა“ და „განთიადის“ გუნდების გადამწყვეტი შეხვედრა. გაიმარჯვეს და ჩემპიონობაც დაისაკუთრეს სტუდენტებმა — 3:0 (15:7, 15:13, 20:18). III ადგილზეა განათლების განყოფილების გუნდი.

ბადმინტონში გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. განათლების განყოფილება, 2. „ბურევესტნიკი“, 3. „სპარტაკი“.

საკმარისია მონაწილეთა შორის დავასახელოთ სსრ კავშირის სამფსის ჩემპიონი ნ. ალეჭსანდრია და საქართველოს ჩემპიონი ც. კობაიძე, რომ ნათელი გახდეს, რა საინტერესო იყო შეხვედრები ჰადრაკში. I ადგილი დაიკავა „ბურევესტნიკმა“ (11,5 ქულა), II-III ადგილები გაიყვეს (9,5-9,5) „დინამოსა“ და განათლების განყოფილების გუნდებმა.

ფარიკაობაში ყველას აჯობა „ბურევესტნიკმა“. II ადგილზეა „სპარტაკი“, III — „დინამო“. პირადი შეჯიბრება ასე დამთავრდა: 1. ბუხრაშვილი, 2. სვანიძე, 3. ჩახვაშვილი (სამივე — „ბურევესტნიკი“).

მაგიდის ჩოგბურთში გაიმარჯვეს „ბურევესტნიკის“ სპორტსმენებმა, მეორე იყო „სპარტაკი“, მესამე — განათლების განყოფილების გუნდი. პირად შეჯიბრებაში საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: ა. სუჯაშვილი („ბურევესტნიკი“), ს. ორბინიანი („სპარტაკი“), და ჟ. ხურშუდიანი („ბურევესტნიკი“).

ხ. თიკანაძე.

● არანაგელსკი, 10 მარტი. იუნიორთა შორის ბურთიან ჰოკეიში მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში ანგარიშით 2:1 (1:1) სძლია შვედ თანატოლთა გუნდს (საინტერესოა აღინიშნოს, რომ ორი წლის წინათ იუნიორთა პირველ ჩემპიონატში შვედებმა ოქროს მედლები მოიხვეჭეს). III ადგილი დაიკავეს ფინელებმა, IV — ნორვეგიელებმა. გამარჯვებულთა სახელზე ბევრი მისაღოცი დეპეშა მოვიდა, მათ შორის, სსრ კავშირის ჩემპიონისგან — მოსკოვის „დინამოსგან“. შემდეგი მსოფლიო ჩემპიონატი 1972 წელს გაიმართება ნორვეგიაში.

● ოგერსტდორფი, 10 მარტი. გფრ-ის ამ ქალაქის უდიდეს ტრამპლინზე გამართულ „მფრინავ ოთხეულამრეთა“ საერთაშორისო შეჯიბრებაში გრძყინვალედ იასპარეზა ი. მატუშმა (ჩეხოსლოვაკია). იგი წლეულს ორჯერ ყველაზე შორს გადახტა მსოფლიოში და სტილშიც საუკეთესო შეფასება დაიმსახურა — 386 ქულა დააგროვა (ნახტომები — 140 და 140 მ).

● ოსლო, 10 მარტი. ჰოლმენკოლენის დიდ ტრამპლინზე ჩატარდა საერთაშორისო ასპარეზობა ხტომაში. I ადგილი დაიკავა მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორმა ი. კასაიამ (იაპონია) — 252,1 ქულა (ნახტომები —104 და 108 მ).

● მელბურნი, 10 მარტი. აქ გაიმართა ავსტრალიელ მძლეოსანთა მორიგი შეჯიბრება. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამი შედეგი: ლ. პეკჰემი 216 სმ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაეცლა; მსოფლიო რეკორდსმენმა რ. კლარკმა 3 მილზე რბენაში 13.51,6 აჩვენა, ხოლო 6 მილზე — 28.24,0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურგენიძე თუ ჯინჯიხაშვილი?

ფოთი, 11 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გადადებული პარტიების დამთავრებამ, რომელიც გუშინწინ მოეწყო, სიცხადე შეიტანა საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში.

ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო გიორგაძე — გურგენიძის პარტიის შედეგი. თეთრებს ზედმეტი პაიკი ჰქონდათ, მაგრამ ისე ცუდად ითამაშეს, რომ დამარცხდნენ. გიორგაძე ჯანოევს თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეუთანხმდა.

უბილავა დანებდა ჯინჯიხაშვილს (ეს მისი პირველი მარცხია ტურნირში) და მოუგო მიქაძეს. ყაიმით დასრულდა ჩიქოვანისა და ლევინის შეხვედრა. ბოკუჩავამ დაამარცხა ჩიქოვანი.

გუშინ შედგა XIII ტური. გაგაცნობთ შედეგებს: ლევინი — იზოფჩიკოვი 0:1, ჯანოევი — ჩეჩელიანი 0,5:0,5, ნეურონოვი — მიქაძე 0,5:0,5, გედევანიშვილი — უბილავა 0:1, ჯინჯიხაშვილი — ბუსლაევი გადაიდო, ჩიქოვანი — გიორგაძე 0:1. ისევ ნებდა გურგენიძე.

ჩიქოვანი გიორგაძის წინააღმდეგ შემტევ სტილში თამაშობდა. მან პაიკიც შესწირა, მაგრამ გიორგაძემ მუქარა მოიგერია და თამაში უკეთეს ეხდაშპილში გადაიყვანა. შეხვედრის ბედი ჩიქოვანის უზუსტობამ განაპირობა.

ნეურონოვმა თერმეტი წაგების შემდეგ პირველი ყაიმი ჩაიწერა აქტივში.

ჯინჯიხაშვილს ბუსლაევთან პარტია უკეთეს პოზიციაში აქვს გადადებული. შეხვედრა თავიდან საქართველოს ჩემპიონის უპირატესობით მიმდინარეობდა.

13 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ადგილები ასეა განაწილებული: მ. ტალი — 11 ქულა (14-დან), რ. ჯინჯიხაშვილი — 9,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ბ. გურგენიძე — 9,5, ვ. უბილავა — 8,5, ს. ჩეჩელიანი — 8, ა. იზოფჩიკოვი — 7,5, თ. გიორგაძე — 6,5, ა. ბუსლაევი 6 ქულა და 1 გადადებული პარტია, ბ. ბოკუჩავა, ვ. ლევინი — 5-5, ზ. მიქაძე, დ. ჯანოევი — 4,5-4,5, ი. ჩიქოვანი — 4, დ. გედევანიშვილი — 2, ლ. ნეურონოვი — 0,5.

ჩემპიონობის საკითხი ჯინჯიხაშვილსა და გურგენიძეს შორის უნდა გადაწყდეს. პირველს მხოლოდ ერთი შეხვედრა დარჩა გურგენიძესთან (გადადებული პარტიის ჩაუთვლელად) მეორეს — ორი (ჯინჯიხაშვილთან და გედევანიშვილთან).

ი. ლოლუა,
ჩემპიონატის მთავარი არბიტრი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

დღეს გაიხსნება

ბოლო წლებში ჩვენი ქვეყნის პროფკავშირების მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატების ჩატარება ტრადიციად იქცა. წლეულს გაიმართება V პირველობა. ამ დიდი შეჯიბრების ერთ-ერთი ნახევარფინალი თბილისში მოეწყობა.

დღეს ეს შეჯიბრება საზეიმოდ გაიხსნება თბილისის ოფიცერთა სახლში. ფინალის სამი საგზურისთვის ბრძოლაში მონაწილეობას მიიღებენ: მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ო. რუბცოვა (მოსკოვი, „სპარტაკი“), საერთაშორისო ოსტატი ვ. ბორისენკო (ტაშკენტი, „ლოკომოტივი“), ოსტატები თ. გოლოვეი (მინსკი, „ბურევესტნიკი“), ლ. სემიონოვა (ჩერნოვცი, „ავანგარდი“), პირველთანრიგოსნები მ. სამული (ტალინი, „კალევი“), ლ. კიკინა („ახხაბადი, „ზახმეტი“) და სხვ. საქართველოდან ითამაშებენ თბილისის ჩემპიონი თ. ხუგაშვილი („ბურევესტნიკი“) და ნ. ჩიქობავა. (თბილისი, „განთიადი“).

ნახევარფინალი თბილისის ოფიცერთა სახლში 31 მარტამდე გასტანს.

ჯეკი ჯონზი

სპარტაკიადაში მონაწილეობა — სპორტსმენის მიზანი!

საბჭოთა სპორტი

სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადა: VI გუნდური ადგილი.

პრიზიორები: კ. დარასელია, ი. საგანელიძე, ზ. მაჩხანელი, ვ. ალავერდოვი (ადგილიდან სროლა, გუნდური) — I, კ. დარასელია (ადგილიდან სროლა, პირადი) — II.

ზ. მაჩხანელი (1923 წ. „ლოკომოტივი", თბილისი), კ. დარასელია (1938 წ. მონკავშირი, სოხუმი), ვ. ალავერდოვი (1931 წ. „ლოკომოტივი", თბილისი), თ. იმნაიშვილი (1951 წ. მონკავშირი, თბილისი), ტ. ჭელენტი (1945 წ. მონკავშირი, თბილისი), თ. მატოიანი (1949 წ. მონკავშირი, თბილისი), ნ. გოცირიძე (1946 წ. სამხედრო მონადირეთა საზოგადოება, თბილისი), თ. იმნაიშვილი (1954 წ. „ლოკომოტივი", თბილისი).

გუნდის მომზადებისთვის პასუხისმგებლები: დ. მარგალიტაძე, ს. როსტიაშვილი, გუნდის უფროსი ლ. ცაცანაშვილი, უფროსის მწვრთნელი დ. ციგასკოვი, მწვრთნელები: ზ. მაჩხანელი, ლ. სიმონიანი, კომორგი თ. გედევანიშვილი.

ტყვიის სროლა

სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადა: VI გუნდური ადგილი.

პრიზიორები: ვ. სალუქვაძე (მშ-6) — I, შ. ქველიაშვილი (მშ-6) — IV, გ. თავდიდიშვილი (მშ-12) — VI, შ. ქველიაშვილი (აშ-5) — IV, ლ. უურული (მშ-5) — V.

შ. ქველიაშვილი (1938 წ. „დინამო", თბილისი), ე. აბაჯიანი (1946 წ. „განთიადი", თბილისი), ვ. ახალაძე (1943 წ. ასკ, თბილისი), კ. მალხაზიანი (1946 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ვ. სჯრინკოვი (1943 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ს. ფარულავა (1943 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ს. ბუჩუკური (1946 წ. „დინამო", თბილისი), ვ. სალუქვაძე (1931 წ. ასკ, თბილისი), მ. პაპავა (1942 წ. „დინამო", თბილისი), ა. დიდმოლაშვილი (1946 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ვ. კარტაშიანი (1946 წ. ასკ, თბილისი), მ. ჟამურაშვილი (1947 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ო. კვირიკაშვილი (1940 წ. „დინამო", თბილისი), ს. სტრეკალოვი (1947 წ. ასკ, თბილისი), ვ. ადეინისკი (1952 წ. ასკ, თბილისი), გ. ბექთაშვილი (1930 წ. „დინამო", თბილისი), გ. თავდიდიშვილი (1948 წ. „დინამო", თბილისი), ს. ჭუსიკამვილი (1947 წ. „დინამო", თბილისი).

გუნდის მომზადებისთვის პასუხისმგებლები: ს. აბულაძე, გ. ჟურული, გუნდის უფროსი ა. ბაქრაძე, უფროსის მწვრთნელი ნ. ლეკვეიშვილი, მწვრთნელები: ხ. კარაპეტიანი, გ. ბექთაშვილი, ვ. ბოსტოღანაშვილი, ვ. ერმიშიანი, კომორგი ნ. ბოჭორიძე.

ფარიკაობა

სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადა: V გუნდური ადგილი.

პრიზიორები: ნ. ასათიანი (ხმალი) — II, გ. კოსტავა (დაშნა) — III, ა. გოგელია, გ. ლორთქიფანიძე, შ. სახვაძე, ნ. ასათიანი (გუნდური, ხმალი) — IV, მ. სიდამონიძე, ნ. ჩიტიშვილი, ა. ბობოხიძე, ი. ოსიპოვი (რაპირა, გუნდური) — IV, ლ. შეყრილაძე, ჯ. გიორგაძე, ლ. ქობრეიძე, ზ. ლორთქიფანიძე, რ. კაკელია (ქალები, გუნდური) — V.

ნ. ასათიანი (1937 წ. „დინამო" თბილისი), შ. სახვაძე (1937 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), გ. ლორთქიფანიძე (1943 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ა. გოგელია (1941 წ. ასკ, თბილისი), ა. გაგულაშვილი (1948 წ. „სპარტაკი", ქუთაისი), თ. უკლება (1949 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), რ. ბინინაშვილი (1940 წ. „სპარტაკი", თბილისი), დ. მეშველიანი (1948 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), დ. შარაშენიძე (1949 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ი. აივაზოვი (1951 წ. „სპარტაკი", თბილისი), ლ. კოხრეიძე (1941 წ. ასკ, თბილისი), ნ. დობორჯგინიძე (1946 წ. ასკ, თბილისი), ს. სვანიძე (1946 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), დ. ჩიქოვანი (1951 წ. „დინამო", თბილისი), ნ. ქაცანაშვილი (1951 წ. „დინამო", თბილისი), დ. ბუხრაშვილი (1953 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ნ. ლაბაძე (1953 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), დ. ანდღულაძე (1951 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ნ. ჩახვაშვილი (1949 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ც. თანანაშვილი (1950 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ნ. ჩიტიშვილი (1945 წ. „დინამო", თბილისი), ბ. მათითაიშვილი (1944 წ. ასკ, თბილისი), თ. ზაუტაშვილი (1941 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ა. აფციაური (1951 წ. „დინამო", თბილისი), მ. კარტოზია (1952 წ. „დინამო", სოხუმი), დ. გოგნიაშვილი (1953 წ. „დინამო", თბილისი), ტ. ნოზაძე (1953 წ. „ბურევესტნიკი", რუსთავი), ტ. გოშაძე (1947 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ა. ბობოხიძე (1936 წ. ქუთაისი), რ. დევიძე (1943 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), გ. ზურაბიშვილი (1948 წ. „დინამო", თბილისი), შ. სულამანიძე (1940 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), რ. გოშაძე (1937 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ი. სიხარულიძე (1950 წ. „დინამო", თბილისი), ვ. ქათამაძე (1951 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ი. ვახროვი (1948 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ტ. გოგოლაძე (1951 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), თ. კობიძე (1948 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), შ. ცქიტიშვილი (1941 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ი. აკოფოვი (1941 წ. ასკ, თბილისი).

გუნდის მომზადებისთვის პასუხისმგებლები: ვ. ჩოფიკაშვილი, ა. მეიფარიანი, გუნდის უფროსი შ. დარასელია, უფროსი მწვრთნელი ტ. მესხი, მწვრთნელები: ვ. ქოჩიაშვილი, რ. გოშაძე, თ. ტროფიმოვა, თ. ფშალაძე, გ. დავითაია, თ. ისლამოვი, ს. აჯიმამუდოვი, კომორგი თ. ცქიტიშვილი.

ხელბურთი

სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის პროგრამაში არ იყო.

ვაჟები

ა. ხუციშვილი (1948 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ა. ქსეფულიძე (1939 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ი. ფხაკაძე (1942 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ზ. ბუნაძე (1946 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), გ. ბერაიშვილი (1948 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ა. ლაზარიადისი (1948 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ჯ. ცერცვაძე (1939 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), მ. ხიტირელი (1945 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ჯ. დვალიშვილი (1948 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ზ. ფხალაძე (1948 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), გ. აბესაძე (1948 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), თ. ჭოლოკავა (1948 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ვ. სხირტლაძე (1948 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), თ. თევზაძე (1950 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), რ. ქოიავა (1948 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ვ. ჭყონია (1949 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ბ. ბერიძე (1948 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ე. ხინჩიკაშვილი (1944 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ვ. შეგრელიშვილი (1954 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი).

ქალები

ვ. ივანოვა (1948 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ე. მერაბიშვილი (1950 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ვ. ჯოლია (1952 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ნ. ჭეჭუა (1950 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ა. ბელოუსოვა (1950 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), მ. კუპრაშვილი (1952 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), მ. მაისურაძე (1949 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ჯ. კასიანი (1946 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ვ. ოდილავაძე (1946 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), დ. ნეფარიძე (1952 წ. განთიადი, ფოთი), მ. მიქაბერიძე (1949 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ლ. სოლომახინა (1947 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), დ. ბაძინაშვილი (1947 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ს. ხურცილავა (1946 წ. „განთიადი", თბილისი), ლ. ახალაია (1946 წ. „განთიადი", თბილისი), ე. მიქაძე (1952 წ. „განთიადი", თბილისი), რ. ნეფედაჩინა (1949 წ. „განთიადი", თბილისი), ნ. ლეჟავა (1947 წ. „განთიადი", თბილისი), თ. ჩიჩვეიშვილი (1949 წ. „განთიადი", თბილისი).

გუნდის მომზადებისთვის პასუხისმგებლები გ. გოშაძე, გუნდის უფროსი გ. შარაშიძე, უფროსი მწვრთნელები: ჯ. ბაგრატიონი (ვაჟები), გ. მაჭავარიანი (ქალები), მწვრთნელები: თ. ანთაძე, ლ. კარტოზია, კომორგი ო. სიამაშვილი.

ესმაურებიან წერილს: „სპეციალისტებო, თქვენ რას იტყვით?"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯავიბრუნოთ დიდება

გულდასმით წავიკითხე „ლელოს" 16 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული წერილი „სპეციალისტებო, თქვენ რას იტყვით?", აგრეთვე, გამოხმაურებანი ამ წერილის გამო. ვფიქრობ, ყველა დაბეჭდილ მასალაში სწორადაა მხილებული ის ხარვეზები, რომლებიც საქართველოში მძლეოსნობის განვითარებას აფერხებენ.

სპორტის ეს საინტერესო სახეობა ჩვენს რესპუბლიკაში ერთ დროს განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა, საქართველოს გუნდს მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით უწევდნენ ანგარიშს, ახლა კი ეს კარგი ტრადიცია დაირღვა.

უდავოა, რომ მძლეოსნობა ჩვენში უკეთ უნდა იყოს განვითარებული, დაუღალავად უნდა ვზრუნავდეთ საუკეთესო სპორტსმენების აღზრდისთვის, საერთაშორისო კლასის შედეგებისთვის. ეს მით უმეტეს აუცილებელია, რომ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადა გვიახლოვდება, ჩვენ კი ხელთ თითქმის არაფერი გვაქვს. აღარას ვამბობთ სრულფასოვან გუნდზე, სადღეისოდ იმდენი ძლიერი სპორტსმენიც არა გვყავს, სასპარტაკიადო პროგრამის თუნდაც ნახევარში ჩათვლა რომ მოგვცენ.

ჩემი აზრით, მთავარი მიზეზი, რომელიც აფერხებს საქართველოში მძლეოსნობის განვითარებას, სეზონისთვის მზადების გვიან დაწყებაა. სათანადოდ ვერ ვიყენებთ ბუნებრივ პირობებს, სპორტსმენები წლის ბოლო შეჯიბრებების შემდეგ წვრთნას ანელებენ (ზოგჯერ სულაც არ ვარჯიშობენ) და მხოლოდ ახალი სეზონის პირველი ტურნირის მოახლოებისას გააძლიერებენ (განაახლებენ) ხოლმე. ბევრჯერ მსმენია: სპორტსმენები ტურნირების სიმცირეს უჩივიან. უდავოდ მართებული საყვედურია. საბჭოთა კავშირის ჩრდილო რესპუბლიკებში, სადაც ზამთარი ჯერ კიდევ თავის უფლებებშია, მართალია, დარბაზებში, მაგრამ მაინც გაიმართა შეჯიბრებები (ზოგან ორა-სამიც კი), საქართველოში კი დღემდე ერთი ტურნირის ჩატარება ძლივს შეძლეს და ისიც მხოლოდ იუნიორებისთვის. თავს იმართლებენ: რესპუბლიკური შეჯიბრებები საკავშირო ასპრეზობათა შესაბამისად იგეგმებაო. კეთილი, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ჩამორჩენილმა უფრო სწრაფად უნდა იაროს, რათა დანაურებულს დაეწიოს. ჰოდა, ვიდრე საბჭოთა კავშირის წამყვან გუნდებს გავუტოლდებოდეთ, ჩვენ უფრო მეტი მუშაობა გვმართებს.

სწორედ სეზონისთვის მზადებაში დაშვებული შეცდომების ბრალი იყო ოთხი რესპუბლიკის მძლეოსანთა შარშანდელ მატჩში (შეჯიბრება თბილისში გაიმართა) წაგება. ამავე მიზეზით თბილისის ვაჟთა გუნდმა აარიდა თავი საკავშირო თასის გათამაშების ფინალში მონაწილეობას. საბოლოოდ ჩვენი მძლეოსნებიდან მხოლოდ ვ. სანეევმა და ვ. ქუთათელაძემ გვასახელეს. სხვები, ისინიც კი, რომელთაგანაც რაღაც წარმატებებს ველოდით, საკავშირო შეჯიბრებებში ძალიან სუსტად გამოვიდნენ.

რატომ ვეღარ ზრდიან საერთაშორისო კლასის სპორტსმენებს ჩვენი მწვრთნელები, სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ხელმძღვანელები? იმიტომ, რომ საქმე თვითდინებაზე მიუშვეს, უკეთესი მერშისის იმედით დღეს გულმოდგინედ არ მუშაობენ, მოსწყდნენ მასებს. ბევრ რაიონსა და ქალაქში თანრიგოსანი მძლეოსნების მომზადება, თუ შეიძლება ითქვას, მხოლოდ ქალაქდზე ხდება.

მაგალითისთვის თუნდაც ბათუმი ავიღოთ. აქ სტადიონზე რეგულარულად 100-120 კაცი ვარჯიშობს და მათგან 80 პროცენტს მეექვსეერველასელი მოსწავლეები შეადგენენ, თუმცა ამ ქალაქში მძლეოსნობაში 15 მწვრთნელი მუშაობს. აღარას ვამბობ რაიონებზე. ბოლო 20 წლის მანძილზე ქობულეთის გარდა არც ერთ რაიონს არ მიუცია შეუხება აჭარის ნაკრებისთვის.

საკითხავია ესეც: რატომაა, რომ მთელს რესპუბლიკაში ბავშვები სპორტულ თამაშებს უფრო ეტანებიან, ვიდრე მძლეოსნობას? მართალია, ამ საქმეში დიდ როლს ასრულებს ის ამბავი, რომ „სპორტის დედოფალი" მეტად შრომატევადი სახეობაა, მაგრამ აგიტაცია სათანადო დონეზე რომ იდგეს, ბაზების ნაკლებობა და სხვა სათანადო პირობების უქონლობა მწვავედ რომ არ იგრძნობოდეს, მძლეოსნობაში დიდძალი ახალგაზრდობა ივარჯიშებდა. ეს კი საქმეს წინ წასწევდა.

დასამალი არც ისაა, რომ მძლეოსნური შეჯიბრებები (რა მასშტაბისაც უნდა იყოს) ჩვენში სათანადო დონეზე აღარ ტარდება. ზოგჯერ არაკვალიფიციური არბიტრები მხარჯობენ (ბევრჯერ მათ დისციპლინაც დაურღვევიათ), ბილიკებზე და სექტორებზე უწესრიგობაა, მხარჯებსა და სპორტსმენებს არა აქვთ განმასხვავებელი ნიშნები, ფორმები, არ ცხადდება შედეგები. გამარჯვებულებს, ზოგჯერ საქართველოს პირველობებშიც, სიგელებსაც კი არ აძლევენ. ცხადია, ყოველივე ეს თავის მავნე გავლენას ახდენს.

ჩემი აზრით, ყოველივე ზემოჩამოთვლილი უნდა იყოს იმის მიზეზიც, რომ, მაგალითად, ბათუმელთაგან ბოლო 15 წლის მანძილზე ცოლ-ქმარ ტულუშებისა და როუმანოვას გარდა სპორტის ოსტატის ნორმატივი ვერავინ შეასრულა.

დაბოლოს, კიდევ ერთი: უმანეულოდ საქმე წინ სწრაფად ვერ წავა. მართალია, საქართველოში სხვა რესპუბლიკებთან შედარებით გრძელი საზაფხულო სეზონი გვაქვს, მაგრამ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, რუსთავში (სხვა ქალაქებზე რომ არაფერი ვთქვათ) მაინც აუცილებელია მძლეოსნობაში საწვრთნელი დაბურული სარბიელები გვქონდეს.

ინჟინერი პ. ვარიაძისი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ბათუმი.

სასარგებლო ტრადიციას დაედო სათავე საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში. ინსტიტუტთან არსებული მწვრთნელთა სკოლისა და საერთო საცხოვრებლის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს ამ სკოლის მოსწავლეთათვის ყოველდღიურად ჩაატარონ გამაჯანსაღებელი ვარჯიში. საქმეს სათავეში ჩაუდგა წარსულში ცნობილი ტანმოვარჯიშე კ. ზაალიშვილი.

სურათზე ვარჯიშის მომენტი. ფოტო გ. დოლენჯაშვილისა.

მზაღებას ეძღვნება

ჩატარდა წითელწყაროს ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის გაფართოებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა ფიზკულტურის კოლექტივების შაობახდელი მუშაობის შედეგებსა და საქართველოს V სპარტაკიადისათვის მზადების საკითხს.

მოხსენებებით გამოვიდნენ ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე გ. ყოჩიაშვილი, საბავშვო სპორტსკოლის დირექტორი დ. გოგაშვილი და „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარე პ. პატატიშვილი.

აღინიშნა, რომ ნაყოფიერად მუშაობენ სოფელ ზემო მაჩხანის, ზემო ქედის, არბოშიკის სასკოლო და საკოლმეურნეო ფიზკულტურული კოლექტივები.

კოლექტივებს შორის გამწვილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გავიდა და გარდამავალი თასით დაჯილდოვდა არბოშიკის საშუალო სკოლის მოსწავლეთა კოლექტივი (ფიზმასწავლებელი ვ. ბეროშვილი). საკოლმეურნეო ფიზკულტურულ კოლექტივებში გაიმარჯვა ზემო ქედის ი. სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (ფიზკულტურის ინსტრუქტორი გ. ზაქაიძე).

სხდომაზე აღინიშნა საბათლოს, ოზაანის, წითელი წყაროს პურპროდუქტების სარეალიზაციო ბაზის, „საქსოფლტექნიკის" განყოფილებისა და სხვა ფიზკულტურული კოლექტივების ჩამორჩენილობა.

ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და რესპუბლიკის V სპარტაკიადისთვის მზადების საკითხებზე ილაპარაკეს ფიზმასწავლებლებმა დ. გონაშვილმა და ვ. ბეროშვილმა, ფიზკულტურის ინსტრუქტორებმა კ. არაბულმა, ე. მეხრიშვილმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა სამბოში პ. პოპოვმა და სხვ.

სხდომაზე რაიონის სპორტული კოლექტივების ამოცანებზე ილაპარაკა საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პროპაგანდა-აგიტაციის განყოფილების გამგემ ნ. ბოსტოღანაშვილმა.

სხდომამ მიიღო სათანადო დადგენილება.

გ. კაკალაშვილი.
(ჩვენი კორ.).

წითელი წყარო.

რაიკომის ინფორმაცია

სოხუმი

„კოლმეურნის" საოლქო საბჭოს მოწადრაკეთა პირად-გუნდურ პირველობაში ბათამაშეს გაგრის, გუდაუთის, გალის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და სოხუმის რაიონების გუნდებმა. I-II ადგილები გაიყვეს გუდაუთისა და ოჩამჩირის წარმომადგენლებმა. პირად ჩათვლაში I-II ადგილებზე არიან: ქალთა შორის — ა. გიუგულია (სოხუმის რაიონი) და მოსწავლე კ. ობოლაძე (გალი), ვაჟებში — დ. ბოასი (გუდაუთა) და გ. ჩაპრავა (ოჩამჩირე).

გ. იაუვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ სტოკჰოლმი!

მას შემდეგ, რაც 1963 წელს სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრებმა დაიწყო გამარჯვებათა შვიდწლიანი გზა მსოფლიო პირველობებში, მისი ძირითადი ბირთვი უცვლელი იყო. იცვლებოდა მხოლოდ ერთი-ორი მცველი, სამი-ოთხი თავდამსხმელი. საბჭოთა გუნდმა მხოლოდ შარშანდელი ტურნირი (სტოკჰოლმი) გამართა მნიშვნელოვნად შეცვლილი შემადგენლობით. და გამარჯვება, როგორც ალბათ გახსოვთ, საბჭოთა ჰოკეისტებმა მოიპოვეს უჩვეულოდ ძნელ ბრძოლაში.

წლეულს მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. სერიოზულმა ტრავმებმა დიდი ხნით გამოიყვანა მწყობრიდან წამყვანი მოთამაშეები: მეკარე ვ. ხინგერი, მცველი ვ. კუზკინი და თავდამსხმელი ე. ზიმინი, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობის ფასდაუდებელი გამოცდილება აქვთ. ვეტერანებიდან კი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რომელმაც 1963 წელს „სტოკჰოლმის გამარჯვებათა“ სერია გახსნეს, გუნდში მხოლოდ ოთხი დარჩა. ესენი არიან მეკარე ვ. კონოვალენკო, მცველები ვ. დავიდოვი, ა. რაგულინი და თავდამსხმელი ვ. სტარშინოვი. ყველა მათგანი შესანიშნავი ოსტატია, მაგრამ ყველას ასაკი 30 წელზე ან ცოტათი ნაკლებია, ან ცოტათი მეტი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი იმ ასაკში არიან, როცა ხანგრძლივ ორწრიან ტურნირში ბრძოლის სიმძიმის თავისთავზე აღება იქნებ ვერ შეძლონ.

ამრიგად, ახალგაზრდებს ამჯერად ვეტერანებზე ნაკლები ტვირთი არ დააწვებათ.

ვინ არიან ეს ახალგაზრდები? ოთხ მათგანს შესანიშნავი დებიუტი ჰქონდა შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატში. ამ თავდამსხმელთა სახელები ფართოდაა ცნობილი. ესენი არიან ბ. მიხაილოვი, ვ. პეტროვი, ვ. ხარლამოვი და ა. მალცევი. მათ მტკიცედ მოიკიდეს ფეხი ნაკრებში და ალბათ დიდი ხნითაც. ტექნიკურად შესანიშნავად შეიარაღებული, ფიზიკურად უნაკლოდ მომზადებული და მოედანზე სწრაფად მოაზროვნე ეს სპორტსმენები თანამედროვე ჰოკეის შესანიშნავ წარმომადგენლებად ითვლებიან.

როგორც მუდამ, ნაკრების ბოლო წევრამდელები გამოცდას კანადის ყინულის მოედნებზე გადიოდნენ. ახალი წლის წინ სსრ კავშირის ჰოკეისტებმა ამ ქვეყანაში 8 მატჩი გამართეს. სამწუხაროდ, ყველა ახალბედამ როდი გაუძლო კანადურ გამოცდას. მეკარე ვ. შეპოვალოვი, მცველები ი. ლიაპკინი და ა. გუსევი, თავდამსხმელები ჰ. ანდრეევი, ს. სოლოდუხინი და ი. გრიგორიევი ახლა სსრ კავშირის პირველი ნაკრების სიაში არ შედიან, თუმცა კანადაში გამოდიოდნენ. არსებითად, კარგ ნიშნებზე გამოცდები ჩააბარა მხოლოდ ორმა — მეკარე ვ. ტრეტიაკმა და თავდამსხმელმა ვ. შადრინმა.

ამრიგად, კანადის ტურნეს შემდეგ ნაკრებში ვაკანტური ადგილები გამოჩნდა. ვის ჰქონდა პრეტენზიები ამ ადგილებზე? რა თქმა უნდა, მას, ვინც სხვებზე უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა საკავშირო ჩემპიონატის თამაშებში. და თუმცა მიმდინარე სეზონის პირველობაში ღირებულისთვის ბრძოლა ისეთი დაძაბული ვერ იყო, ზოგიერთი მატჩი მაინც მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარდა, რამაც ჰოკეისტებს ხელი შეუწყო ნამდვილი შესაძლებლობების გამოვლენაში, ხოლო ნაკრების მწვრთნელებს მისცა საშუალება გუნდის შემადგენლობა დაედგინათ.

და აი, ნაკრების მწვრთნელებმა გუნდის შემადგენლობის საბოლოო განსაზღვრისას ზოგ რამეში უარი თქვეს იმ პრინციპებზე, რომლებსაც მრავალი წლის მანძილზე ქადაგებდნენ. ეს პირველ ყოვლისა ეხება ნაკრების იმ მუდმივი რგოლებით დაკომპლექტების პრინციპს, რომლებიც საკლუბო გუნდებში გამოდიან.

ორ სამეულს (მიხაილოვი — პეტროვი — ხარლამოვი, ვიკულოვი — პოლუპანოვი — ფირსოვი) ეს არ შეეხო. მათ საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვეს როგორც საზღვარგარეთ, ისე შინ, და თავიანთ გუნდს — ცსკა-ს ვადამდე გაამარჯვებინეს სსრ კავშირის ჩემპიონატში. კიდევ ერთი სამეული, რომლის ყოველი წევრი უდავო კანდიდატი იქნებოდა, სსრ კავშირის პირველობამ ვერ დაბასახელა.

ბევრ მატჩში საიმედოდ თამაშობდა მოსკოვის „სპარტაკის“ თავდამსხმელთა სამეული — ა. მარტინიუკი, ვ. შადრინი და ა. იაკუშევი. მაგრამ სტაბილური ოსტატობა ამ სამეულიდან მხოლოდ შადრინმა გამოავლინა.

და დადგა პრობლემა: გავგეძოთ და ავიყვანოთ „სპარტაკის“ მზა სამეული, თუ ვცადეთ ერთიანთ შადრინი მალცევთან და შუა სეზონში უკვე კარგად მოთამაშე სტარშინოვთან? ან იქნებ შეეჭიდა თავდამსხმელთა მეოთხე რგოლი, რომლის ცენტრში სტარშინოვი ან მალცევი იქნება? უცილობელია, რომ მწვრთნელთა წინაშე ასეთი ვარიანტიც იდგა. ტყუილად ხომ არ დაუსახელებიათ მათ კანდიდატებს შორის უნივერსალური ჰოკეისტი ვ. ნიკიტინი (ვოსკრესენსკის „ხიმიკი“), რომელსაც შეუძლია ითამაშოს ნებისმიერ ადგილზე და ყოველნაირ პარტნიორებთან, აგრეთვე, ცსკა-ს თავდამსხმელი — გამოცდილი ე. მიშაკოვი...

სსრ კავშირის ნაკრების დაცვას ჯერჯერობით საბჭოთა ჰოკეის სხვადასხვა თაობის წარმომადგენელი სამი სპორტსმენი შეადგენს. ესენი არიან ვეტერანები რაგულინი, დავიდოვი, რომიშევსკი, შედარებით ახალგაზრდა ე. პოლადიევი (მოსკოვის „სპარტაკი“), ახალბედები ვ. ვასილიევი (მოსკოვის „დინამო“) და ვ. ლუტჩენკო (ცსკა), და ბოლოს, 32 წლის ვ. ნიკიტინი, რომელმაც მხოლოდ ერთხელ ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატში.

დარწმუნებული ვარ, ერთსულოვან მოწონებას დაიმსახურებს კარის მცველთა ორივე კანდიდატურა. უხუცესი საბჭოთა ჰოკეის მეკარეთა შორის გორკელი ვ. კონოვალენკო და „ა“ კლასის გუნდების მეკარეებში ყველაზე ახალგაზრდა ვ. ტრეტიაკი. მათ სამართლიანად გაიმარჯვეს სხვა გუნდების ძალიან ძლიერ მეტოქეებთან ჭიდილში.

სულ ცოტა ხნის წინ ჩვენ ვწუხდით, რომ ძალიან მცირეა სსრ კავშირის ნაკრების პრეტენდენტთა რიცხვი. ახლა კი სულ სხვა თავსატეხი გვაწუხებდა. დიდია არჩევანი — ესე იგი, საბჭოთა ჰოკეი ვითარდება.

ე. რუბინი.

* * *

ჰოკეისტთა ჩემპიონატი გაიხსნება სტოკჰოლმის სტადიონ „იოჰანესჰოფზე“ სსრ კავშირისა და ფინეთის გუნდების მატჩით. ჩემპიონატის ბოლო შეხვედრით დასრულებენ სსრ კავშირისა და შვეციის გუნდები.

მორიგი მსოფლიო ჩემპიონატის გამართვის თაობაზე გადაწყვეტილება ჩემპიონატის დირექტორატის სტოკჰოლმის სხდომაზე მიიღეს. აქ დადგინდა მონაწილე ქვეყნების შემადგენლობა, თამაშების კალენდარი და საპროცედურო-ტექნიკური საკითხები.

როგორც ადრე ვიტყობინებოდით, კანადის გუნდმა უარი თქვა ამ ასპარეზობაში მონაწილეობაზე. ამიტომ მის ადგილს უმაღლესი ლიგის ექვსეულში პოლონეთის გუნდი დაიჭერს.

სსრ კავშირის, შვეციის, ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის, გდრ-ისა და პოლონეთის გუნდები მსოფლიო ჩემპიონატს ორ წრედ გაითამაშებენ.

კალენდარი დღეში სამ მატჩს ითვალისწინებს: 15 საათზე, 19 საათზე, 22 საათსა და 30 წუთზე (ნაჩვენებია თბილისის დროით). ჩემპიონატის პირველი დღის—**14 მარტის** თამაშების განრიგი ასეთია: ფინეთი — სსრ კავშირი (15 ს.), შვეცია — გდრ (19.00), პოლონეთი — ჩეხოსლოვაკია (22.30).

შემდგომი კალენდარი ასეთია: **15 მარტი.** სსრ კავშირი — გდრ, ფინეთი — პოლონეთი, შვეცია — ჩეხოსლოვაკია. **16 მარტი** — დასვენების დღე. **17 მარტი.** სსრ კავშირი — პოლონეთი, გდრ — ჩეხოსლოვაკია, შვეცია — ფინეთი. **18 მარტი.** ჩეხოსლოვაკია — სსრ კავშირი (22.30). **19 მარტი.** ფინეთი — გდრ (19.00), პოლონეთი — შვეცია (22.30). **20 მარტი.** ჩეხოსლოვაკია — ფინეთი (19.00), სსრ კავშირი — შვეცია (22.30). **21 მარტი.** გდრ — პოლონეთი (19.00). **22 მარტი.** ჩეხოსლოვაკია — პოლონეთი, გდრ — შვეცია, სსრ კავშირი — ფინეთი. **23 მარტი** — დასვენების დღე. **24 მარტი.** პოლონეთი — ფინეთი, გდრ — სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია— შვეცია. **25 მარტი.** პოლონეთი — სსრ კავშირი (19.00), ჩეხოსლოვაკია — გდრ (22.30). **26 მარტი.** ფინეთი — შვეცია (22.30). **27 მარტი.** სსრ კავშირი — ჩეხოსლოვაკია (20.00) **28 მარტი.** გდრ — ფინეთი (15.00). შვეცია — პოლონეთი (19.00). **29 მარტი.** პოლონეთი — გდრ (19.00). **30 მარტი.** ფინეთი — ჩეხოსლოვაკია (15.00), შვეცია — სსრ კავშირი (19.00).

სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზია 12 მატჩის ტრანსლაციას მოაწყობს ამ განრიგით: **14 მარტი.** ფინეთი — სსრ კავშირი (15.00). **15 მარტი.** სსრ კავშირი — გდრ (15.00), შვეცია — ჩეხოსლოვაკია (22.30). **17 მარტი.** სსრ კავშირი — პოლონეთი (15.00). **18 მარტი.** ჩეხოსლოვაკია—სსრ კავშირი (22.30). **20 მარტი.** სსრ კავშირი — შვეცია (22.30). **22 მარტი.** სსრ კავშირი — ფინეთი (22.30). **24 მარტი.** გდრ — სსრ კავშირი (19.00), ჩეხოსლოვაკია — შვეცია (22.30). **25 მარტი.** პოლონეთი — სსრ კავშირი (19.00). **27 მარტი.** სსრ კავშირი — ჩეხოსლოვაკია (20.00). **30 მარტი.** შვეცია — სსრ კავშირი (19.00).

სურათზე: სსრ კავშირის შაიბიანი ჰოკეის ნაკრები გუნდის მწვრთნელი ა. ტარასოვი (ცენტრში), მეკარეები ვ. ტრეტიაკი (მარცხნივ) და ვ. კონოვალენკო.

ფოტო ვ. ხობოლევისა და ა. იაკოვლევისა (საკდესი).

მოსკოვის, გორკისა და ვოსკრესენსკის ხუთი კლუბის ჰოკეისტები შევიდნენ სსრ კავშირის ნაკრებში, რომელიც სტოკჰოლმის მსოფლიო ჩემპიონატში გამოვა. 20-დან 15 მოთამაშე ქვეყნის ღირსებას მსოფლიოს წინა ჩემპიონატშიც იცავდა, ორნი (ვ. შადრინი და ვ. ვასილიევი) ახალბედები არიან, სამნი კი (ვ. კონოვალენკო, ვ. ნიკიტინი და ვ. პოლუპანოვი) ნაკრებს ხანმოკლე შესვენების შემდეგ დაუბრუნდნენ.

აი, ვინ გაფრინდა სტოკჰოლმში 10 მარტს: მეკარეები — ვ. კონოვალენკო (გორკის „ტორპედო“) და ვ. ტრეტიაკი (ცსკა); მცველები — ა. რაგულინი, ვ. ლუტჩენკო, ი. რომიშევსკი (სამივე — ცსკა), ვ. დავიდოვი (მოსკოვის „დინამო“), ე. პოლადიევი (მოსკოვის „სპარტაკი“), ვ. ნიკიტინი (ვოსკრესენსკის „ხიმიკი“), ვ. ვასილიევი (მოსკოვის „დინამო“); თავდამსხმელები — ბ. მიხაილოვი, ვ. პეტროვი, ვ. ხარლამოვი, ა. ფირსოვი, ვ. პოლუპანოვი, ვ. ვიკულოვი, ე. მიშაკოვი (ყველა — ცსკა), ვ. სტარშინოვი, ა. იაკუშევი, ვ. შადრინი (ყველა — მოსკოვის „სპარტაკი“), ა. მალცევი (მოსკოვის „დინამო“).

თუ აუცილებლობამ მოითხოვა, სტოკჰოლმში მესამე მეკარეს ვ. შეპოვალოვს (ლენინგრადი, ასკ) გამოუძახებენ.

გაგრძელება. იხ. „ლელო“ №№ 39, 42, 44, 48.

ჩვენი ოსკარი

ბიჭები მომცვივდნენ, მეხვეოდნენ, მკოცნიდნენ. სამხრეთ ტრიბუნიდან არაადამიანური ყვირილი შემომესმა. არც გამიხედავს: ვალოდია იყო...

მაგრამ რა ხდება? იმის მაგივრად, რომ ხელით ცენტრისკენ მიუთითოს, არბიტრი გვერდითი მსაჯისკენ გარბის. რატომ? ბურთი 30 მეტრიდან გავიდა კარში, თამაშგარე მდგომარეობაში არავინ ყოფილა...

გვერდით მსაჯთან პატარა მოლაპარაკების შემდეგ არბიტრმა ხელით ცენტრისკენ აჩვენა.

გატაბილმა გოლმა ჩვენ თითქოს დაგვამშვიდა, „ვეუდა“ კი — პირიქით. დაიწყო ჩვენი კარის გამუდმებული იერიში. აი, ბურთი მეტოქის ცენტრალურ თავდამსხმელს აქვს. ჩვენებიდან ყველაზე ახლო მე ვარ მასთან. გამოვედევნე, მარჯვენა ფლანგზე გადაინაცვლა, მეც გავყევი. ზედ საჯარიმოზე შევეჩეხეთ ერთმანეთს. ბურთი წინ გაიგდო, მერე კი ისეთი მუჯლუგუნი მკრა, თავი ვერ შეიკავა და გაიშხლართა. მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა. ჩვენმა ბიჭებმა მე გადმომხედეს.

— რა ჩემი ბრალია, თვითონ მეთამაშა უხეშად, — მინდოდა დამეყვირა, მაგრამ სიტყვა ყელში გამეჩხირა, თვალებზე ცრემლი მომადგა.

მსაჯმა ბურთი პენალტის ადგილზე დადო და...

— შენ გენაცვალე, გივი, ოღონდ ახლა გადამარჩინე! — თვალებით შევევედრე ჩვენს მეკარეს.

რვა ნომერმა ცრუ მოძრაობა გაიკეთა, თითქოს მარჯვენა კუთხეში ურტყამდა, ბურთი კი მარცხნივ გაგზავნა. გივიმ საცარი გუმანით იგრძნო ბურთის მიმართულება და იგი ნახტომით კუთხურზე გაგზავნა.

უფრო მძლავრად გაისმა ყიჟინა სამხრეთ ტრიბუნიდან.

ამ ამბავმა ისე დააბნია ჩვენი მეტოქეები, რომ ერთმანეთს ვეღარ ცნობდნენ. დარჩენილ დროში საინტერესო არაფერი მომხდარა. ის იყო, რომ მე და გიამ თითო ბურთი გავიტანეთ და გავიმარჯვეთ — 3:0. ეს კი გათამაშების ნახევარფინალში გასვლას ნიშნავდა, სადაც „სატურნი“ გველოდა.

ამ მატჩამდე ორი დღე რჩებოდა. შეფებმა ავტობუსი გამოგვიგზავნეს და კვლავ ქარხანაში მიგვიწვიეს. საინტერესო ექსკურსია იყო. დავათვალიერეთ საამქროები, შევხვდით აქ მომუშავე ქართველ სპეციალისტებს. შემდეგ ტაბლეულიით გაგვიმასპინძლდნენ.

მეორე დილით დიმიტრი მწვრთნელმა მე და გივის გვთხოვა, საქმეზე წამყევითო, დანარჩენებს კინოს ბილეთები აუღო და ნიკო გამოჰყო პასუხისმგებელ მორიგედ.

ტაქსში ჩავსხედით და მანქანიდან საკოლმეურნეო ბაზართან გადმოვედით.

ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, რა საქმე ჰქონდა ჩვენს მწვრთნელს ბაზარში? ისევ დიმიტრიმ აგვიხსნა:

— მეგობრებმა თევზი დამაბარეს. ვერც ერთ მაღაზიაში ვერ შევხვდი. იქნებ აქ ვიშოვო.

ბაზარი სავსე იყო ხალხით. ბევრი ვიარეთ, თევზის განყოფილებაც დავათვალიერეთ, მაგრამ თევზი არსად იყო. მწვრთნელი რომელიღაც მოხუც ნოქარს გაესაუბრა. მან დახლი მიატოვა და სადღაც გაქრა. რამდენიმე წუთში უკან დაბრუნდა, რაღაც ჭიღალდში შეხვეული გადასცა დიმიტრი მწვრთნელს. გამოსასვლელისკენ წამოვედით. ყურში დამტვრეული რუსული ჩამესმა:

— გრუზინსკი გრუშა, გრუზინსკი გრუშა!

იქითკენ გავიხედე. ხილის განყოფილება მთლიანად შავგრემან, ულვაშა კაცებს დაეკავებინათ. ვაშლი, მსხალი და სხვა ქართული ხილი ეწყოთ. მუშტრები არ ჰყავდათ. მოხუცმა ქალმა ერთი მსხალი დადო სასწორზე და ფული ჩაუთვალა. ცოტა მოშორებით ყვავილით მოვაჭრე ქართველები ეპატიჟებოდნენ მუშტრებს. ერთი მაინც იმოდენა ახმახი იყო, კამეჩს დააჩოქებდა. ცოტა არ იყოს, გული მეტკინა. ვიფიქრე, ასე როგორ უჭირს ქართველ გლეხს, ამოდენა გზა გაიკეთოს და ღვინოგრადში თითო მსხლისა და ყვავილის მუშტარს უცადოს-მეთქი. მერე სულ დარჩეული ახალგაზრდები იყვნენ...

მენიშნა, აეროპორტში მთვრალი კაცი რომ გადაგვეკიდა და სული წაიღო — ხილისა და ყვავილების გაყიდად ჩამოხვედითო...

მწვრთნელმა ერთ ქართველ მოვაჭრეს ბიჭებისთვის ხუთი კილოგრამი ვაშლი გამოართვა და უკან დავბრუნდით.

სასტუმროში ბიჭები ქართულ ვაშლს ვაშას ძახილით შეხვდნენ.

... სადილის შემდეგ მომავალ მეტოქეზე გვესაუბრა დიმიტრი მწვრთნელი. საუბრის შინაარსს ვერ გეტყვით. საერთოდ, არაა მიღებული მწვრთნელის თამაშის გარჩევა საჯაროდ გამოცხადდეს. აბა, როდისმე წაგიკითხავთ გაზეთში ამა და ამ მწვრთნელმა ასე გაურჩია თამაში ფეხბურთელებსო?

„კოსმოსთან“ შეხვედრა უინტერესო გამოდგა. 90 წუთის განმავლობაში მინდვრის ბატონ-პატრონი ვიყავით. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბოლოს განძრევაც კი გვეზარებოდა. გავიმარჯვეთ — 5:0.

მეორე მატჩში „სატურნმა“ ხძლია „ბოგატირს“ და ისიც ჩვენთან ერთად ფინალში გავიდა.

ზ. ჯაფარიძე.

(გაგრძელება იქნება)

Спортен спорт | Sport | SPORTSKE NOVOSTI | Népsport | PRZEGLĄD SPORTOWY

ბელგრადი ემზადება

სპორტული სამყარო უდიდეს ინტერესს იჩენს სსრ კავშირისა და მსოფლიოს რჩეულ მოჭადრაკეთა გუნდების შეხვედრის მიმართ. ყველა კონტინენტის გაზეთები მევრს წერენ „საუკუნის მატჩის“ ირგვლივ. რა თქმა უნდა, ყველაზე მეტი იწერება თვით იუგოსლავიაში, სადაც 29 მარტიდან ეს მიმზიდველი შეჯიბრება უნდა გაიმართოს.

თავის დროზე იუგოსლავიის ჭადრაკის ფედერაციამ „საუკუნის მატჩის“ მომწყობი კომიტეტი შექმნა. ჭადრაკის მესვეურნი გულმოდგინედ შეუდგნენ საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას. მატჩის ჩატარებისთვის საჭირო 600 ათასი დინარი მათ უფრო იოლად შეაგროვეს, ვიდრე ვარაუდობდნენ. ეს თანხა სახელმწიფო დაწესებულებებმა და საწარმოებმა გაიღეს. ზოგიერთმა საწარმომ სპეციალური ჯილდოც კი დააწესა, ზოგიერთ შეღავათს ჰპირდება მონაწილეებს. მაგალითად, ავიაკომპანიები — საბჭოურმა „აეროფლოტი“ და იუგოსლავიური „იატ“-ი მოჭადრაკეებს ბილეთების ნაწილს უფასოდ მისცემენ.

შეჯიბრების მონაწილენი სასტუმრო „მეტროპოლში“ იცხოვრებენ, შეხვედრები კი გაიმართება პროფკავშირების სახლში, რომელიც 2 ათას მაყურებელს იტევს. მალე მზად იქნება ახალი სადემონსტრაციო დაფები და სათამაშო მაგიდები. შენობის წინ მოეწყობა ვეებერთელა სადემონსტრაციო დაფა, რომელზეც პარტიებს საპროექციო აპარატით უჩვენებენ.

გაზეთები ფართოდ აშუქებენ წინასამატჩო მოლაპარაკებას. რა თქმა უნდა, ყველას აღელვებდა მატჩში ამერიკელი რ. ფიშერის მონაწილეობის საკითხი, აფიქრებდათ დანიელი ბ. ლარსენის შესაძლებელი ჰორვეგულობა პირველ დაფაზე თამაშის საკითხში. მით უმეტეს, რომ ასეთი მაგალითი უკვე მოხდა: იუგოსლავიელმა დიდოსტატმა ბ. მატულოვიჩმა განაცხადა, რომ იგი არ ითამაშებს, თუ დიდოსტატ ვ. ულმანზე (გდრ) „უკან“ დასვამენ. მაგრამ ყველაფერი კარგად მოგვარდა. მატულოვიჩი ბედს შეურიგდა, ლარსენმა დიდსულოვნად დაუთმო ფიშერს პირველი დაფა. როგორც იქნა, მიაგნეს ამერიკელ დიდოსტატს და მან თამაშზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ თავისი პირობებიც წამოაყენა.

აი, რა მოითხოვა ფიშერმა: სასტიკად აიკრძალოს თამაშის დროს მონაწილეთა შორის ყოველგვარი საუბარი, ფოტო, კინო და ტელეგადაღებები, აგრეთვე, სატვა და ძერწვა. მაყურებლები მოთამაშეებისგან ხუთი მეტრით უნდა იყვნენ დაშორებული, ათი რიგის ფარგლებში უნდა აიკრძალოს მინიატურული ჭადრაკის გამოყენება. წესრიგის დამრღვევნი დარბაზიდან უნდა გაძევებენ; დარბაზი გვერდითი უჩრდილო ნათურებით უნდა განათდეს. მაგიდებსა და სკამებს ფეხის შესადგმელი უნდა ჰქონდეს (ფიშერი ძალიან მალიაა).

იმდენად სერთ ამერიკელი დიდოსტატის მონაწილეობა შეჯიბრებაში, რომ მასპინძლებმა მისი ყველა მოთხოვნა გათვალისწინეს. სხვათა შორის, ეს მოთხოვნები არ ეწინააღმდეგება ყველას მოთხოვნას. როგორც ჩანს, საჭადრაკო სამყარო სპასკი — ფიშერის მატჩის მოწმე იქნება.

ფიშერს ახარებს შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონთან, თუნდაც პატარა მატჩში. ეს „დუელი“ უაღრესად მიმზიდველ და უშეღავათო ბრძოლას გვპირდება. პირველ პლანზე დგას ორივე ცნობილი მოჭადრაკის პრესტიჟის საკითხი.

ჭადრაკის მესვეურებმა მთავარ არბიტრად მიიწვიეს იუგოსლავიის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე ბ. კაჟიჩი, რომელმაც „საუკუნის მატჩის“ პროგრამის შედგენაც იკისრა.

ორთაბრძოლის დამთავრებიდან ათი დღის შემდეგ მატჩის ყველა პარტია ლამაზად გაფორმებული კრებულის სახით გამოვა. დიდოსტატი ა. მატანოვიჩი გამოსცემს ილუსტრირებულ ალბომს.

ბელგრადი დიდი მატჩის მოლოდინშია. ბუნებრივია, ახლა მევრს ლაპარაკობენ მატჩის შესაძლებელ შედეგზე. ელექტრონულ-გამომთვლელმა მანქანამ „ოინანსწარმეტყველა“: გაიმარჯვებს საბჭოთა კავშირის გუნდი ანვარიშით 21,5:18,5.

ჩვენი ძალა რესპუბლიკაში

სპორტსმენთა რიცხვი ორჯერ გაიზარდა

აქტიუბინსკის ოლქში ხუთი წლის წინ 90 ათასი სპორტსმენი იყო, დღეისთვის კი მათი რიცხვი უკვე ორჯერ გაიზარდა. აქ ფიზკულტურის ხუთწლედი ბევრი მაჩვენებლის მიხედვით ვადამდე დამთავრდა. ბოლო წლების მანძილზე ოლქის სხვადასხვა ქალაქსა და დაბაში ათი საბავშვო სპორტული სკოლა გაიხსნა, რომლებშიც 2500-ზე მეტი ნორჩი მეცადინეობს.

უფრო მაღალი გახდა ფიზკულტურის განვითარების დონე საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში. მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებები სისტემატურად ტარდება „იაისანსკის“, ძერჟინსკის სახელობის, „ტამდინსკისა“ და სხვა საბჭოთა მეურნეობებში, სადაც აგებულია სპორტული მოედნები და სტადიონები. ამას წინათ 70-მდე საზოგადოებრივი ინსტრუქტორი 10-დღიანი სემინარის მონაწილე იყო.

(ყაზახეთის დეპეშათა სააგენტოს კორ.).

აქტიუბინსკი.

ჯანმრთელობის ბაზა

აკადემიის ქალაქი ახალი სპორტული ბაზით გამდიდრდა: საზეიმოდ გაიხსნა ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის კომპლექსური სასწავლო სპორტული ბაზა. ამ სასწავლებლის რექტორმა, აკადემიკოსმა ს. ბელიაევმა მშენებლებისგან სიმბოლური გასაღები მიიღო.

ახალ ნაგებობას აქვს ჩ დარბაზი (თამაშების, ტანვარჯიშული, ჭიდაობის, კრივის, ძალოსნობის) და სასროლო ტირი. შეიქმნა ბაზა 2000 წყვილი თხილამურისა და ციგურისთვისაც.

(საკდესი).

ნოვოსიბირსკი.

დიდი და პატარა — თხილამურებზე

მემაღაროეთა ახალგაზრდა ქალაქის ინტის ყველა მაღარომ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ გამოიყვანა გუნდი მასობრივ სათხილამურო რბოლაში „მეშახტის ლამპის“ პრიზზე, რომელიც „ტრუდის“ საქალაქო საბჭომ დააწესა. შეჯიბრება ტარდებოდა მდინარე დიდი ინტის ერთ-ერთ დათოვლილ კუხტულე. ყოველი გუნდი სხვადასხვა ასაკის სპორტსმენებით (14-დან 60 წლამდე) იყო დაკომპლექტებული. ათასობით გულშემატკივარი, ლამაზი რეკლამა; ორკესტრი ამ შეჯიბრებას ნამდვილი დღესასწაულის იერს აძლევდა. ამინდიც მშვენიერი იდგა.

პრიზი მოიპოვა კომპინატ „ინტაუგოლის“ № 9 მაღაროს გუნდმა.

(საკდესი).

ინტა.

ფიზკულტურის მეგობრები

ელეცის სამკერვალო ფაბრიკის ვესტიბიულში გაიხსნა შრომითი და სპორტული კონკურსების გამოფენა. პირველ სტენდზე გამოფენილია საუკეთესო მუშაკის წოდებისთვის გაჩაღებული შეჯიბრების შედეგები, მეორეზე — რამდენიმე ათეული თასი, სიგელი, მედალი, რომლებიც მკერავებმა სხვადასხვა სპორტულ ასპარეზობაში მოიპოვეს.

— ეს შემთხვევითი არაა, — ამბობს პარტორგანიზაციის მდივანი ზ. ტატარნიკოვა. — გაუაზრებლად შეიძლება ითქვას, რომ მთელი ჩვენი კოლექტივი დიდი ხანია მეგობრობს ფიზკულტურასა და სპორტს.

... ეს მეგობრობა დაიწყო 10 წლის წინ, როცა ფაბრიკაში სამუშაოდ მოვიდა თადარიგის ოფიცერი ს. კობილენკო. მან შექმნა ენთუზიასტთა ჯგუფი. კობილენკოს მხარი დაუჭირეს პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. ახლა ამ ფაბრიკის ფიზკულტურული კოლექტივი ყველაზე ხალხმრავალია ქალაქში. მაგალითად, სათხილამურო სექციაში 200 კაცია გაერთიანებული. ამდენივეა გატაცებული ჩოგბურთით, ჰყავთ მსროლელები, ფრენბურთელები, მძლეოსნები, მოჭადრაკეები. ძალიან უყვართ ტურიზმი.

დღეში ორჯერ — 9 საათზე და 14 საათზე თითქმის მთელი ფაბრიკა ვარჯიშს იწყებს. ეს კარგად მოქმედებს მუშების ჯანმრთელობაზე და შრომისუნარიანობაზე. კერძოდ, ამ ხუთწლედში მკერავებმა ერთნახევარჯერ გაზარდეს პროდუქციის გამოშვება.

ე. გოჩალიოვი.
(საკდესის კორ.).

ელეცი.

ზამთარი ხელს ვერ უშლით

ვლადივოსტოკის სპორტული ნავსადგური ყინულითაა შებოჭილი. ახლა მის ვრცელ ზედაპირზე მოგზაურობენ მხოლოდ „პინგვინები“, როგორც აქ სუმრობით უწოდებენ წყალქვეშ თევზაობის მოყვარულებს. აი, ლოზოვოის ტბაზე კი ნიჩბოსნებმა უკვე დაიწყეს ბაიდარებით და კანოებით ვარჯიში.

— ამ მხრივ ჩვენს სპორტსმენებს აშკარად ბედი სწყალობთ, — ამბობს ნიჩბოსნობის სამხარეო ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი ვ. დანიში. — ასეთ პირობებს ყველგან როდი შეხვდებით. ტბაში რამდენიც გნებავთ იმდენია „თბილი წყალი“. იქვე, სუჩანის ველზე კი შეგიძლიათ თხილამურებითაც ისრიალო...

ნიჩბოსნობა ძალიან პოპულარულია შორეულ აღმოსავლეთში და პრიმორსკის მხარის სპორტის მოყვარულებს შეუძლიათ კიდეც თავიანთი სპორტსმენებით იამაყონ: ს. ოშჩეპკოვი ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა, ნ. და გ. ლეჭენკოებს ბევრჯერ მოუპოვებიათ გამარჯვება საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში.

ახლა ამ მხარეში 500-ზე მეტი სპორტსმენია გატაცებული ნიჩბოსნობით. წყნარი ოკეანის სანაპიროზე ფიზკულტურულ კოლექტივებშიც იზრდებიან ნიჭიერი ახალგაზრდები. შარშან სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში სამი აქაური სპორტსმენი შევიდა. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ვ. კონონოვი, ვ. ივანჩენკო და ლ. მოსიენკოვი „ვოლნიკის“ საბავშვო სპორტული სკოლის აღზრდილები არიან.

აქაური მწვრთნელები არ უფრთხიან ეგრეთ წოდებულ რთულ სპორტსმენებს. მათ მიაჩნიათ, რომ სწორედ ასეთი ახალგაზრდები არიან მტკიცე ნებისყოფის, ძლიერი ათლეტები, რომლებიც გამარჯვებით გაიბარებენ და მარცხის დროს ფარ-ხმალს არ დაყრიან.

შორეული აღმოსავლეთის ნიჩბოსნებს მუდამ ბევრი შეჯიბრება აქვთ, დაწყებული გაზეთ „კრასნოე ზნამიას“ პრიზზე მასობრივი შეჯიბრებით, ვიდრე საკავშირო ტურნირებამდე.

ვ. კლიმენტიევი.
(საკდესის კორ.).

ვლადივოსტოკი.

პროგნოზი უნდა გამართლდეს

— ევროპის მაგიდის ჩოგბურთელთა ჩემპიონატის გახსნამდე 3 კვირა დარჩა, მაგრამ მე უკვე მჯერა, რომ შეჯიბრება წარმატებით ჩატარდება, — თქვა 10 მარტს მოსკოვში საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისთვის გამართულ პრეს-კონფერენციაზე მაგიდის ჩოგბურთის ევროპული კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ვ. ვებრმა (ჩეხოსლოვაკია). — მე ვიცი, რომ ჩემპიონატის მასპინძლებმა უკვე დიდი მუშაობა ჩაატარეს და ეს მაძლევს ასეთი პროგნოზის გამოთქმის უფლებას. ის ამბავი, რომ მაგიდის ჩოგბურთის ევროპელ ოსტატთა ასეთი მნიშვნელოვანი შეჯიბრება ამჯერად მოსკოვში ჩატარდება, სრულიად კანონზომიერად მეჩვენება. საბჭოთა ჩოგბურთელები უძლიერესი არიან არა მარტო ევროპაში, არამედ მთელს მსოფლიოშიც. ჩემპიონატი ალბათ უაღრესად წარმომადგენლობითი იქნება, რადგან შეჯიბრებაში ჩვენი კონტინენტის თითქმის ყველა საუკეთესო ჩოგბურთელი გამოვა.

ამ პრეს-კონფერენციის დასაწყისში სიტყვით გამოვიდა ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის მდივანი ა. პეგოვი.

— მაგიდის ჩოგბურთის ევროპული კავშირის ხელმძღვანელებმა არჩევანი მოსკოვზე იმიტომ შეაჩერეს, რომ ჩვენი ქალაქი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სპორტული ცენტრია და საერთაშორისო ტურნირების მასპინძლობის დიდი გამოცდილებაც აქვს. მარტო ამ ბოლო წლებში მოსკოვში ჩატარდა 7 მსოფლიო ჩემპიონატი და 6 ევროპული პირველობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ჩვენს ქალაქში ბევრჯერ გამოსულან სხვადასხვა ქვეყნის მაგიდის ჩოგბურთელებიც. საბჭოთა კავშირში ახლა ამ თამაშს სამი მილიონი მოყვარული ჰყავს — ახალბედები და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები, მოსწავლეები და უფროსები...

ა. პეგოვმა საორგანიზაციო კომიტეტის სახელით განაცხადა, რომ ყველა აუცილებელი პირობა შესრულდება ასპარეზობის გულწრფელ, მეგობრულ ვითარებაში, მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარებისთვის. ტურნირისთვის გამოყოფილია მოსკოვის უდიდესი დახურული სპორტული სარბიელი — ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლე, რომლის ტრიბუნებიც 12 ათას მაყურებელს იტევს. ასპარეზობას ნახავენ როგორც მოსკოველები, ისე სხვა ქალაქებიდან ჩამოსული მოყვარულები და უცხოელი ტურისტებიც. მოსკოვის სტუმრები — ჩემპიონატის მონაწილეები, ოფიციალური პირები, ჟურნალისტები გაეცნობიან ჩვენი დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს და კულტურულ საგანძურს.

ერთ-ერთი შეკითხვის პასუხად ა. პეგოვმა თქვა, რომ დელეგაციებს ეყოლებათ თავიანთი შეფები — ქალაქის სპორტული კლუბები და ფიზკულტურული კოლექტივები.

ჟურნალისტებს გააცნეს მომავალ შეჯიბრებათა რეგლამენტი. ქალთა და ვაჟთა გუნდური ტურნირები 1-4 აპრილს ჩატარდება. 5 აპრილს დასვენების დღეა. 6-8 აპრილს გაიმართება პირადი შეჯიბრებები ერთეულთა და წყვილთა თანრიგებში. სსრ კავშირის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის წინადადებით, ამ რანგის შეჯიბრებათა პრაქტიკაში წინასწარ ეტაპზე პირადი ტურნირები პირველად ჩატარდება არა ოლიმპიური, არამედ წრიული სისტემით. ეს მონაწილეებს შესაძლებლობას მისცემს, რომ რამდენიმე შეხვედრა გამართონ. გუნდურ შეჯიბრებათა ნახევარფინალებში პირველად გავა არა თითო, არამედ ორ-ორი საუკეთესო ნაკრები ყოველი წინასწარი ჯგუფიდან.

ჩემპიონატის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელმა მ. ზასლავსკიმ გამოაცხადა, რომ, გარდა ოფიციალური ჯილდოებისა, ასპარეზობის მონაწილეებისთვის პრიზები დააწესა მოსკოვის სხვადასხვა ორგანიზაციამ. დაწესებულია პრიზები იმ ჟურნალისტებისთვისაც, რომლებიც ჩემპიონატს გააშუქებენ.

(საკდესი).

„ტრუდი“ გათამაშებას გამოეთიშა

მოსკოვი, 10 მარტი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხეფინალური შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში ვაჟთა გუნდებს შორის ადგილობრივი სპორტკლუბ „შახტიორის“ ბაზაზე მოეწყო. აქ დედაქალაქის „ტრუდის“ ჩოგბურთელებმა წააგეს ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ოსტრავას ვსკ-სთან — 4:5. მოედნის მასპინძლებში გამოირჩეოდა სსრ კავშირის ჩემპიონი ა. ამელინი, რომელმაც 3 შესაძლებლიდან 3 ქულა მოიგო. მაგრამ თავიანთ კაპიტანს მხარი ვერ აუბეს სსრ კავშირის ეკს-ჩემპიონებმა გ. ავერინმა და დ. ბროდსკიმ. მათ გუნდს მხოლოდ 1 ქულა მოუტანეს.

სტუმრებში ბედი ყველაზე მეტად სწყალობდა ევროპის 1968 წლის ჩემპიონს ჭაბუკთა შორის, კონტინენტის მომავალი მეშვიდე პირველობის მონაწილეს ი. ტურაის.

ევროპის თასის მეათე გათამაშება ვაჟთა საკუთარ გუნდებს შორის დასასრულს უახლოვდება. ვსკ ახლა ნახევარფინალში შეხვდება „მიდლსბროსა“ (ინგლისი) და „მარიეშტადტ ბოისს“ (შვეიცია) შორის გამარჯვებულს. მეორე ნახევარფინალში ითამაშებენ დასავლეთ გერმანიის „ოსნაბრიუკი“ და ბუდაპეშტის „სპარტაკუსი“.

ფინალში — ოთხნი

დამთავრდა თბილისის მოშაშე ვაჟთა პირველობის ნახევარფინალი, რომელშიც 16 კაცი მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა ა. ბარბარიანმა (12,5 ქულა), II — ვ. უმაროვმა (11,5), III-IV ადგილები გაიყვეს პ. კუჩეროვმა და 13 წლის ლ. აიკაზიანმა (11-11). ეს ოთხივე მოშაშე ფინალში ითამაშებს.

ს. პაპლაჯიანი,
თბილისის შაშის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, სპორტის ოსტატი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.